საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური მიმოხილვა

I კვარტალი, 2023

მოკლე შეჯამება

- 2022 წლის ეკონომიკურმა ზრდამ, წინასწარი მონაცემებით, 10.1 პროცენტი შეადგინა
- 2023 წლის პირველ კვარტალში საშუალო ეკონომიკური ზრდა 7.2 პროცენტია
- პირველ კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 7.6 პროცენტი, ხოლო საბაზისო ინფლაციამ (თამბაქოს გარეშე) – 6.4 პროცენტი
- ადგილობრივი ექსპორტი შემცირდა წლიურად 13.5 პროცენტით
- იმპორტი გაიზარდა წლიურად 21.0 პროცენტით
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა საბაზო ეფექტის გამო და უკვე დაფიქსირდა 2019 წლის დონეზე მაღლა
- რეფინანსირების განაკვეთი კვლავ 11.0 პროცენტს შეადგენს

სარჩევი

რეალური სექტორი 4
ეკონომიკური ზრდა 4
დასაქმება და უმუშევრობა 6
ფასების დონე 7
რეგიონის ეკონომიკური მიმოხილვა 9

საგარეო სექტორი 11
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 11
საგარეო ვალი 12
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 13
საგარეო ვაჭრობა 14
ტურიზმი 15
ფულადი გზავნილები 15
სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება 16
გაცვლითი კურსი 17

ფისკალური სექტორი 18
ნაერთი ბიუჯეტის შესრულება 18
საქართველოს სახელმწიფო ვალი 20

მონეტარული სექტორი 21
კერძო სექტორის ლარიზაცია 21
სესხების მიმოხილვა 22
დეპოზიტების მიმოხილვა 23
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 24
საპროცენტო განაკვეთები 25

რეალური სექტორი

ეკონომიკური ზრდა

წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის პირველ კვარტალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საშუალოდ გაიზარდა 7.2 პროცენტით. ამავე დროს, 2023 წლის პირველ კვარტალში რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით შეადგინა 11.6 პროცენტი საშუალოდ. კერძოდ, პირველ კვარტალში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 24.7 პროცენტით, ხოლო იმპორტი წლიურად გაიზარდა 16.8 პროცენტით. ამავე დროს, 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 76.6 პროცენტით, ხოლო იმპორტი გაიზარდა 54.3 პროცენტით. საგარეო მოთხოვნა ზრდას განაგრძობს. ტურიზმის გათვალისწინებით, პანდემიამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, საგარეო მოთხოვნა იზრდება. საერთაშორისო მოგზაურობისგან მიღებული შემოსავალი პირველ კვარტალში წლიურად გაიზარდა 2-ჯერ. ასევე გაზრდილია საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რომელთან მიმართებაშიც ადგილი აქვს 37.5 პროცენტიან ზრდას.

2022 წლის დასაწყისში გაუარესებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, ადგილი ჰქონდა რიგ შეზღუდვებს, რაც ხელს უშლიდა ეკონომიკური აღდგენის პროცესს. შეზღუდვების თანდათანობით მოხსნასთან ერთად გაიზარდა ეკონომიკური აქტივობაც და 2022 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ წლიურად გაიზარდა 14.9 პროცენტით. რაც, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 21.6 პროცენტს შეადგენს. 2022 წლის მეორე კვარტალში დაფიქსირდა 7.1 პროცენტიანი ზრდა.

რაც შეეხება 2022 წლის მეოთხე კვარტალს, დაფიქსირდა 9.7 პროცენტიანი ზრდა. 2022 წლის მეოთხე კვარტალში მნიშვნელოვანი წილი ექსპორტის კომპონენტმა შეიტანა, რომელიც რეალურ გამოსახულებაში წლიურად 12.6 პროცენტით გაიზარდა, ასევე მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა ინვესტიციების კომპონენტს, რომელიც 5.8 პროცენტით გაიზარდა. ამავე დროს, რეალურ გამოსახულებაში შემცირდა მოხმარების კომპონენტი 1.0 პროცენტით და ასევე

დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 2: სექტორების რეალური ზრდა, 2022 IV კვარტალი



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 3: ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 4: ეკონომიკური ზრდის პროგნოზი



დიაგრამა 5: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, ათასი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ადგილი ჰქონდა იმპორტი წლიურად შემცირებას 7.7 პროცენტით.

2022 წლის IV კვარტალში რიგ საქმიანობებში გამოვლინდა ეკონომიკური ზრდა. კერძოდ, მნიშვნელოვანი წვლილი ზრდაში შეიტანა შემდეგმა საქმიანობებმა: ინფორმაცია და კომუნიკაცია 60.9 პროცენტი (2.7 პ.პ.), შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები 59.1 პროცენტი (0.05 პ.პ.), მშენებლობა 27.9 პროცენტი (1.6 პ.პ.), ტრანსპორტი და დასაწყობება 25.3 პროცენტი (1.7 პ.პ.), სამთომოპოვებითი მრეწველობა 22.5 პროცენტი (0.3 პ.პ.), ხელოვნება, გართობა და დასვენება: 16.8 პროცენტი (0.2 პ.პ.), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი 13.8 პროცენტი (0.7 პ.პ.).

2023 წლის განმავლობაში ზრდა ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება რეგიონში არსებულ მდგომარეობასა და ქვეყნის ეკონომიკაზე მის გავლენაზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროგნოზის მიხედვით, 2023 წელს მოსალოდნელია 5.0 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შიდა მოთხოვნის ზრდით და ბიუჯეტში გათვალისწინებული ფისკალური სტიმულების ღონისძიებებით. 2024 წლიდან ეკონომიკა გააგძელებს საშუალოდ 5.1 პროცენტიან ზრდას, 2024-2026 წლებში.

დასაქმება და უმუშევრობა

2022 წლის მეოთხე კვარტალში უმუშევრობის დონემ 16.1 პროცენტი შეადგინა, რაც 0.5 პპ-ით მეტია წინა კვარტლის მნიშვნელობაზე და 2.9 პპ-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მათ შორის, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 16.4 პროცენტს (-3.7 პპ წ/წ), ხოლო სოფლად - 15.5 პროცენტს (-1.7 პპ წ/წ). უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით 15-24 და 25-34 ასაკობრივი ჯგუფები გამოირჩევა. 2022 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 52.7 პროცენტი შეადგინა. 2022 წლის მეოთხე კვარტალში, ქალების ჯგუფში უმუშევრობის დონემ შეადგინა 13.8 პროცენტი, ხოლო მამაკაცების ჯგუფში, აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 17.8 პროცენტი.

2022 წლის მეოთხე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 4.9 პროცენტით, ხოლო 2.8 პროცენტული პუნქტით გაზრდილია დასაქმების დონე. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა წლიურად შემცირდა 14.5 პროცენტით. რაც შეეხება პროდუქტიულობას (რეალური გამოშვების შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობაზე), წლიურად გაიზარდა 4.6 პროცენტით. ამავე დროს, 21.2 პროცენტით გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი, რომელიც 2022 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით შეადგენს 1,773.7 ლარს.

2022 წლის მეოთხე კვარტალში ადგილი ჰქონდა პროდუქტიულობის 4.9 პროცენტიან ზრდას წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებთ. პროდუქტიულობა გამოთვლილია რეალური მშპ-ს დასაქმებულთა რაოდენობაზე შეფარდების ზრდის ტემპით.

დიაგრამა 6: შრომის ბაზრის ინდიკატორები



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 7: პროდუქტიულობა და დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (წლიური ცვლილება, %)



წყარო: საქსტატი

ფასების დონე

2022 წლის დასაწყისიდან შეინიშნება წლიური ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან მნიშვნელოვანი გადაჭარბება. აღნიშნულის მიზეზს ძირითადად წარმოადგენს მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორები, როგორიც არის საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე მნიშვნელოვნად გაძვირებული პროდუქცია და გლობალურად სატვირთო ტრანსპორტირების ხარჯების მკვეთრი ზრდა. ამავე დროს, წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე გავლენა იქონია კომუნალური გადასახადების ცვლილებამ, რადგან სუბსიდირების პროგრამის დასრულებამ აღნიშნული საქონლის ინფლაციის მაჩვენებელი იმაზე მეტად გაზარდა, ვიდრე თავდაპირველი შემცირება იყო და მთლიანი ინფლაციის მაჩვენებლის მატება გამოიწვია. ინფლაციაზე ასევე გავლენას ახდენს მნიშვნელოვნად გააქტიურებული შიდა მოთხოვნა, რომელიც აღარ არის ინფლაციის შემამცირებელი ფაქტორი როგორც ეს იყო წინა პერიოდებში, ეკონომიკური ვარდნის დროს. გლობალური ინფლაცია წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების განხილვის საკითხს. საერთაშორისო ბაზარზე ნედლეულის, ნავთობის, გაზის ფასების ზრდამ და მნიშვნელოვანმა ფისკალურმა სტიმულებმა გამოიწვია ინფლაციური წნეხის ზრდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო პროგნოზის მიხედვით (აპრილი, 2023), მსოფლიო ინფლაცია 2023 წელს შემცირდება 2022 წლის 8.7 პროცენტიდან 7.0 პროცენტამდე, ასევე მოსალოდნელია, 2024 წელს 4.9 პროცენტამდე შემცირება. მიუხედავად მოსალოდნელი ინფლაციის შემცირებისა, ის პანდემიამდელ პერიოდზე (2017-2019 წლები) მაღალი რჩება.

2023 წლის პირველ კვარტალში წლიურმა ინფალციამ შეადგინა 7.6 პროცენტი. აღნიშნული ზრდა მნიშვნელოვნად არის გამოწვეული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე არსებული გაურკვევლობის მაღალი დონიდან. ინფლაციის ხანგრძლივი დროით გადახრა მიზნობრივი მაჩვენებლიდან აძლიერებს ინფლაციურ მოლოდინებს. ასევე, აღსანიშნავია მოთხოვნიდან გამომდინარე ინფლაციური ეფექტი. გაზრდილი მიგრაციული ნაკადები ასტიმულირებს მოთხოვნას და მაღალ დონეზე რჩება ადგილობრივი ინფლაცია. საერთაშორისო ტრანსპორტირების ფასების შემცირება კი აისახება იმპორტირებულ ინფლაციაზე. საბაზო ინფლაცია (თამბაქოს გარეშე) კი პირველ კვარტალში გაუტოლდა 6.4 პროცენტს.

29 მარტს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება

დიაგრამა 8: წლიური ინფლაცია



დიაგრამა 9: ინფლაციის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

რეფინანსირების განაკვეთის გამკაცრებულ დონეზე, 11 პროცენტზე დატოვების შესახებ, ფასების შემდგომი მომატების მოლოდინების ზეწოლის შესამსუბუქებლად.

2023 წლის პირველი კვარტლის ჭრილში, მთლიან ინფლაციაში ადგილობრივი ინფლაციის წვლილი გაუტოლდა 4.2 პროცენტს, ხოლო იმპორტირებული ინფლაციის წვლილმა შეადგინა 1.5 პროცენტი. აღნიშნული დინამიკა გამოწვეულია სურსათზე ფასის მომატებით და სამომხმარებლო კალათაში სასურსათო საქონლის ჯგუფის მიერ შედარებით მაღალი წონის დაკავებით.

დიაგრამა 10: ინფლაციის დეკომპოზიცია, I კვარტალი, 2023



წყარო: საქსტატი

რეგიონის ეკონომიკის მიმოხილვა

მას შემდეგ, რაც რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, მსოფლიო ზრდის და ინფლაციის პერსპექტივები გაუარესდა. 2022 წელს ომის დაწყების შემდგომ IMF-მა რამდენჯერმე განაახლა თავისი პროგნოზები მიმდინარე და შემდგომი წლებისთვის, 2023 წლის აპრილის ეკონომიკური მიმოხილვის მიხედვით 2022-2023 წლებში მსოფლიო ეკონომიკის ზრდა შეადგენდა შესაბამისად 3.4 და 2.8 პროცენტს. ბოლო განახლება IMF-მა 2023 წლის აპრილში ბოლოს გააკეთა, რის მიხედვითაც 2023 წელს გაუარესებულია ზრდის მაჩვენებელი და 2.8 პროცენტს შეადგენს მთელი მსოფლიოსთვის, რაც ძირითადად განპირობებულია უკრაინაში ომით, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკით განვითარებულ ქვეყნებში. 2023 წელთან შედარებით 2024 წელს ზრდის ტემპი უფრო მაღალია და 3.0 პროცენტს შეადგენს.

იმის მიუხედავად, რომ 2020 წელს თურქეთში არ ყოფილა რეცესია, მისი რეალური მშპ 2021 წელს 11.4 პროცენტით გაიზარდა. IMF-ის მიმდინარე წლის აპრილის პროგნოზით, თურქეთის ეკონომიკა 5.6 და 2.7 პროცენტით გაიზრდება 2022-2023 წლებში. 2023 წლის პროგნოზი წინა წლის ოქტომბრის პროგნოზთან შედარებით შემცირებულია 1.3 პროცენტული პუნქტით. მთავარ გამოწვევას თურქეთისთვის კვლავ ლირის გაუფასურება და მაღალი ინფლაცია წარმოადგენს. ფაქტობრივი ინფლაცია 72.3% იყო 2022 წელს. ინფლაციის მიმდინარე პროგნოზი 2023 წლისათვის 50.6 პროცენტს შეადგენს. 2022 წელს თურქეთის სუვერენულ საკრედიტო რეიტინგებმა ცვლილება განიცადა. ბოლო ცვლილებით, Fitch-მა თურქეთის რეიტინგი B+ (ნეგატიური)-იდან, B (ნეგატიური)-ზე დააქვეითა, S&P-მა რეიტინგი B (ნეგატიური)-მდე შეამცირა, ხოლო Moody's-მა B3-ზე.

მსოფლიო ეკონომიკის ზრდის გაუარესების მთავარი მოქმედი წევრის - რუსეთის ეკონომიკა, სანქციების ფონზე, მოსალოდნელია, რომ შემცირდეს. რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ზომებს, არა მხოლოდ მოკლევადიანი, არამედ საშუალოვადიანი გავლენაც ექნება, ვინაიდან მსხვილი მომხმარებლები და ქვეყნები უარს ამბობენ რუსეთთან გრძელვადიან პარტნიორობაზე ენერგო და სხვა სექტორებში. აპრილის შეფასებებით, რუსეთის ეკონომიკის რეალური ზრდა 2022 წელს იყო -2.1%. რაც შეეხება 2023-2024 პერიოდს, მოსალოდნელია, რომ ეს მაჩვენებელი იქნება შესაბამისად 0.7% და 1.3%.

დიაგრამა 11: ეკონომიკური ზრდა რეგიონში


15%
10%
5%
0%
-5%
-10%
2015
2016
2017
2018
2019
2020
2021
2022
2023
2024
2025
2026
12,6%
7,5%
7,6%
5,2%
5,7%
5,5%
5,0%
4,6%
3,3%
2,5%
1,1%
1,5%
0,2%
0,2%
-3,1%
3,0%
-7,2%
2,6%
2,5%
2,5%
2,5

დიაგრამა 13: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 14: ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან, %



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

2023 წელს მოსალოდნელია რომ რუსეთის რეალური მშპ გაიზრდება 0.7, ხოლო 2023 წელს კი -1.3%. ეს პროგნოზები 0.3 და 2.1 პ.პ-ით მეტია იანვრის პროგნოზებზე. რუსეთის საშუალოვადიანი ზრდის ტემპი 1.0 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა 2004-2013 წლებში საშუალო ზრდის ტემპი 4.2 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2014-2020 წლებში - 2.1 პროცენტს. სარეიტინგო კომპანიებმა რუსეთის სუვერენული საკრედიტო რეიტინგი ჯერ მკვეთრად გააუარესა, შემდგომ კი შეწყვიტეს რუსეთისთვის რეიტინგის მინიჭება.

ომის შედეგად გაზრდილი ნავთობის ფასები დადებითად აისახება აზერბაიჯანის ეკონომიკაზე. ოქტომბერში აზერბაიჯანის ზრდა გაუმჯობესდა. 2021 წლის მაღალი ზრდის შემდგომ, 2022 წელს რეალური ზრდა 4.6% იყო. 2023 წელს აზერბაიჯანის რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზია 3.0%. 2022 წელს აზერბაიჯანში ინფლაციამ 13.8% შეადგინა. მოსალოდნელია, რომ ინფლაცია 11.3 და 8.0 პროცენტზე დაფიქსირდეს, შესაბამისად, 2023 და 2024 წლებში. 2022 წელს მოხდა აზერბაიჯანის სუვერენული საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესებები. Fitch-მა გააუმჯობესა რეიტინგი BB+ (პოზიტიური)-მდე, S&P ცვლილება არ მოახდინა და Moody's-მა გააუმჯობესა Ba1 (სტაბილური)-მდე.

2022 წელს სომხეთმა შეძლო ეკონომიკის მაღალი ზრდის ტემპის მიღწევა. ეს მაჩვენებელი 12.6%-ით განისაზღვრა. მოსალოდნელი იყო, რომ რეგიონის ქვეყნებში, გარდა ომში ჩართული ქვეყნებისა, სომხეთის ეკონომიკა ყველაზე მეტად დაზარალდებოდა, ვინაიდან მისი ეკონომიკა ყველაზე მეტადაა რუსეთის ეკონომიკაზე დამოკიდებული, მაგრამ არსებული რისკები არ მატერიალიზდა. IMF-ის აპრილის პროგნოზით, 2023 წელს სომხეთის რეალური მშპ 5.5 პროცენტით გაიზრდება, ხოლო 2024 წელს 5.0 პროცენტით (ოქტომბრის პროგნოზი 3.5% და 4.4% იყო). ინფლაცია კვლავ მაღალი, 7.1 და 5 პროცენტი იქნება 2023-2024 პერიოდში, რაც რეგიონის ქვეყნებზე დაბალია. სომხეთის საკრედიტო რეიტინგი Moody's-მა 1 ნოჩით შეამცირა და Ba3 (ნეგატიური)-ზეა, ხოლო Fitch-მა და S&P-მ B+ (პოზიტიური)-მდე გაზარდეს 2023 წელს.

უკრაინის გარშემო მდგომარეობა გაურკვეველი რჩება. IMF არ აკეთებს რაიმე პროგნოზს 2024 წლის შემდგომ პერიოდზე, ვინაიდან მდგომარეობა მერყევია და ბევრი რამ შესაძლოა შეიცვალოს მიმდინარე და მომავალ პერიოდში. მათი მიხედვით, 2022 წელს უკრაინის ეკონომიკა შემცირდა 30.3 პროცენტით, რაც პირდაპირაა გამოწვეული რუსეთის ომით უკრაინაში.

საგარეო სექტორი

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2020 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 12.5 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვანი გაუარესებაა 2019 წლის 5.8 პროცენტიანი დეფიციტის შემდეგ. 2021 წლის პირველი კვარტალიდან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა გაუმჯობესება დაიწყო. 2021 წელს მშპ-ს 10.4 პროცენტი შეადგინა. 2022 წლის მეოთხე კვარტალში მიმდინარე ანაგრიშის დეფიციტს უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა და მშპ-ს -7.2%. ასევე აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და მშპ-ს 4.1% შეადგინა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. დეფიციტის ვალით დაფინანსება გულისხმობს ახალი ვალის აღებას და შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯის გაწევას ვალის მომსახურებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე განხორციელდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში უმჯობესდებოდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურა და 2017 წელს დეფიციტი მთლიანად იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, დეფიციტის დაფინანსებაში საგარეო ვალი საკმაოდ დიდი წვლილით მონაწილეობს. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია 2020 წელი, როცა ვალით დაფინანსებამ საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა დეფიციტის დაფინანსებაში.

2022 წლის მესამე კვარტალში უარყოფითი, ხოლო მეოთხე კვარტალში ვალის წილმა დადებითი წვლილი შეიტანა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში. კერძოდ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესების ფონზე, 2022 წლის მეოთხე კვარტლის განმავლობაში FDI-ის წილი მის დაფინანსებაში 2.9 პპ-ს შეადგენს, ხოლო ვალის წვლილი 4.3 პპ-ია.

დიაგრამა 15: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 16: ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 17: მიმდინარე ანგარიშის დაფინანსება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

საგარეო ვალი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის დამატებით სისუსტედ საგარეო ვალი მიიჩნევა, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ. საგარეო ვალი შედგება როგორც სამთავრობო სექტორის ვალისგან, ასევე - კომერციული და ეროვნული ბანკის საგარეო ვალისგან და კომპანიათაშორისი სესხებისგან.

მიმდინარე პანდემიის პირობებში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2020 წელს და მთლიანი შიდა პროდუქტის 129.9 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით კი 23.2 პ.პ-ით გაიზარდა. საგარეო ვალის ზრდა მნიშვნელოვნად იყო გამოწვეული სამთავრობო სექტორის ვალის ზრდით, პანდემიისას განხორციელებული ღონისძიებებისა და მოზიდული დაფინანსების გამო. 2021 წელს დაიწყო საგარეო ვალის კლება და მთლიანი შიდა პროდუქტის 117.8 პროცენტი შეადგინა, რაც 12.1 პ.პ-ით ნაკლებია წინა წლის მონაცემთან შედარებით. კლების მიზეზს წარმოადგენს ეკონომიკური აქტივობის დაჩქარება და შესაბამისად, ნომინალური მშპ-ს მოსალოდნელზე მეტად ზრდა. რაც შეეხება 2022 წელს, საგარეო ვალმა 95.7 პროცენტი შეადგინა, რაც ვალის კლების ტენდენციის გაგრძელებას აჩვენებს და ყველაზე დაბალი მაჩვენებელია პანდემიის შემდეგ.

საგარეო ვალის ცვლილების დეკომპოზიცია წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ანუ ვალის აღებით, ასევე - საფასო ეფექტით, გაცვლითი კურსის ცვლილებითა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში ზოგიერთ კვარტალში საგარეო ვალის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი გაცვლითი კურსის გაუფასურებამ შეიტანა, თუმცა წლიურად გავლენა საოპერაციო ცვლილებას უფრო მეტი ჰქონდა. ამასთან, მშპ ხშირად ხელს უწყობდა საგარეო ვალის შემცირებას. პანდემიის შემდეგ, 2021-2021 წლებში, დოლარში გამოხატული ვალი შემცირებულია 13.2 და 23.3 პ.პ-ით, ხოლო გაცვლითი კურსის გათვალისწინებით ლარში გამოხატული ვალი შემცირებულია შესაბამისად 24.7 და 25.0 პ.პ-ით, რომელშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნომინალური მშპ-ს ზრდამ. 2021-2022 წლებში გაუმჯობესებული მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გამო საჭირო არ გახდა დეფიციტის ვალის ზრდით დაფინანსება, რამაც ხელი შეუწყო ვალის შემცირებას.

დიაგრამა 18: საგარეო ვალი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 19: ვალის მშპ-თან თანაფარდობის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 20: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქსტატი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2022 წლის მეოთხე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობამ დაახლოებით 324 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ს 4.3 პროცენტი), რაც 21.2 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

2022 წლის მეოთხე კვარტალში ყველაზე მეტი ინვესტიცია გაერთიანებული სამეფოდან (47.4 პროცენტი მთლიან FDI-ში) შემოვიდა, ხოლო მეორე და მესამე ადგილს ინაწილებენ აშშ და რუსეთის ფედერაცია, შესაბამისი 18.7 პროცენტი და 10.7 პროცენტი წილებით მთლიან FDI-ში.

ინვესტიციები ძირითადად განხორციელდა ფინანსურ სექტორში და მისმა მოცულობამ 197.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ინვესტიციების 61 პროცენტი). ასევე მთლიან ინვესტიციებში მაღალი წილი უკავია უძრავი ქონების სექტორს 73 მილიონი აშშ დოლარით (22.5 პროცენტი).

რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კომპონენტებს, 2022 წლის მეოთხე კვარტალში რეინვესტირებულმა შემოსავლებმა მშპ-ს 3.8 პროცენტი შეადგინა და მისმა რაოდენობამ 287.4 მლნ აშშდოლარს მიაღწია.

დიაგრამა 21: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 22: FDI-ის განაწილება (%), 2022 IV კვარტალი



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 23: საგარეო ვაჭრობა, I კვარტალი



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 24: ადგილობრივი ექსპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 25: იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 26: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი; ავტორის გაანგარიშება

საგარეო ვაჭრობა

2020 წელს COVID 19-ის პანდემიის ფონზე, მსოფლიოში საგარეო ვაჭრობამ იკლო, რაც საქართველოს ეკონომიკაზეც აისახა. შემცირებული საწარმოო და სამომხმარებლო აქტივობების ფონზე იმპორტმა კლება განიცადა, ხოლო 2020 წლის პირველ ნახევარში შემცირდა ექსპორტიც.

2021 წელს, მას შემდეგ რაც მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც დაიწყო შეზღუდვების მოხსნა, საგარეო ვაჭრობამ სწრაფი ტემპებით დაიწყო აღდგენა. გაზრდილ ექსპორტთან ერთად, სწრაფი ტემპებით აღდგა იმპორტიც. ამასთან, ფასების ზრდამ განაპირობა როგორც ექსპორტის, ასევე - იმპორტის ზრდაში ფასისმიერი ზრდის წვლილის გაზრდაც, თუმცა 2022 წელს დაფიქსირდა ადგილობრივი ექსპორტის უფრო ნელი ზრდა, ძირითადად ფასისმიერი ეფექტის შემცირებიდან გამომდინარე. შესაბამისად, 2022 წლის მეოთხე კვარტალში ადგილობრივი ექსპორტის ნომინალური კლება დაფიქსირდა წლიური 7.4 პროცენტის დონეზე, საიდანაც 11.2 პროცენტი რეალური კლება იყო, ხოლო 2023 წლის პირველ კვარტალში კლებამ 13.5 პროცენტი შეადგინა, საიდანაც რეალური კლება 15.2 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ფასების ეფექტი დადებითი იყო.

2023 წლის პირველ კვარტალში, საინვესტიციო პროდუქტის იმპორტი გაიზარდა 50.7 პროცენტით (13.2 პპ წილი მთლიან იმპორტში). მაღალი ზრდა დაფიქსირდა სამომხმარებლო პროდუქტის იმპორტშიც და 25.1 პროცენტს გაუტოლდა (8.5 პპ მთლიან იმპორტში). რაც შეეხება შუალედურ პროდუქტს, ზრდამ -1.9 პროცენტი შეადგინა (-0.8 პპ მთლიან იმპორტში). 2023 წლის პირველ კვარტალში საქონლის ექსპორტი გაიზარდა 24.7 პროცენტით. ექსპორტის მთავარი შემადგენელი ნაწილი კვლავ მსუბუქი ავტომობილების, (მთლიანი ექსპორტის 28.2 პროცენტი), ასევე დიდი წილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრანტებისა (მთლიანი ექსპორტს 14.1 პროცენტი) და ფეროშენადნობის (მთლიანი ექსპორტის 5.6 პროცენტი) ექსპორტს უკავიათ. უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი კვლავ მსუბუქმა ავტომობილებმა, ნავთობპროდუქტებმა და ნავთობის აირებმა შეადგინა.

ტურიზმი

პანდემიურ 2020 წელს, როდესაც ეკონომიკა მკაცრი შეზღუდვების პირობებში ფუნქციონირებდა, ტურისტების რაოდენობა თითქმის განულდა. 2021 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო ტურიზმის სექტორის გაჯანსაღება. 2021 წლის მეორე კვარტალიდან ტურიზმიდან შემოსავლები წლიურად გაიზარდა, ხოლო მესამე კვარტლიდან ნახევრად აღდგა. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა შემდგომ კვარტლებშიც. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მესამე კვარტლიდან ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 2019 წლის დონეს გადააჭარბა. 2023 წლის პირველ კვარტალში ტურიზმიდან შემოსავალმა 795.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს 102 პროცენტით აღემატება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებლის 137.5 პროცენტს შეადგენს.

დიაგრამა 27: ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, 2019 = 100



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილები

2022 წელს, მეოთხე კვარტალში წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობამ 1461.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ის წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 166.7 პროცენტით გაიზარდა.

რაც შეეხება 2023 წლის პირველ კვარტალს, წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობა არის 1171.4 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს აღემატება 148.6 პროცენტით. ზრდაში ძირითადი წვლილი შეიტანა რუსეთმა 130.0 პპ-ით. ასევე დადებითი წვლილი შეიტანეს აშშ-მ (5.4 პ.პ.), იტალიამ (4.0 პ.პ), გერმანიამ (2.9 პ.პ.), ყაზახეთმა (2.2 პ.პ.) ყირგიზეთმა (1.6 პ.პ), ისრაელმა (1.3 პ.პ.). კლება დაფიქსირდა უკრაინიდან წმინდა ფულად გზავნილებში 374.5 პროცენტი, რამაც უარყოფითი წვლილი შეიტანა მთლიან ზრდაში 2.9 პ.პ-ით, ასევე შემცირდა წმინდა გზავნილები აზერბაიჯანიდან 53.1 პროცენტით, რამაც 1.1 პ.პ-ით შეამცირა მთლიანი ზრდა და პოლონეთიდან 36.5 პროცენტით, რამაც 0.3 პ.პ-ით შეამცირა მთლიანი ზრდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში რუსეთიდან ფულადი გზავნილები შემცირებული იყო და უარყოფითი წვლილი ჰქონდა გზავნილების ზრდაში. აღნიშნული დინამიკა შეიცვალა 2021 წელს, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ნავთობის ფასის ზრდასთან.

დიაგრამა 28: ტურიზმის აღდგენა ქვეყნების მიხედვით, 2019 წლის შესაბამისი თვე = 100, %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 29: წმინდა ფულადი გზავნილები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება

საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების მიხედვით. მთლიან შიდა პროდუქტში ექსპორტის, ტურიზმისა და ტრანსფერების წილების მიხედვით, საქართველო ყველაზე მეტად დამოკიდებულია რუსეთზე, თურქეთზე, უკრაინასა და ევროკავშირის ქვეყნებზე. 2022 წლის მეოთხე კვარტლის მიხედვით, რუსეთზე დამოკიდებულება კვლავ მაღალია, ხოლო 2022 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მიგრანტების შემოსვლის შემდგომ. რუსეთზე დამოკიდებულების მთავარი განმაპირობებელი ფულადი გზავნილებია. თურქეთზე დამოკიდებულება კვლავ სტაბილურია, თუმცა 2022 წელს გაიზარდა ტურიზმიდან შემოსავლების ზრდის გამო. შემცირდა დამოკიდებულება უკრაინაზე, რაც გამოწვეულია უკრაინაში საქონლის ექსპორტისა და ფულადი გზავნილების კლებით. შემცირებულია, მაგრამ კვლავ მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს ევროკავშირზე დამოკიდებულება. გასული წლის მეოთხე კვარტალში ძირითად პარტნიორებზე (გარდა რუსეთის ფედერაციისა) დამოკიდებულების შემცირება მიუთითებს სავალუტო შემოსულობების მეტად დივერსიფიცირებაზე.

დიაგრამა 30: დამოკიდებულება სავაჭრო პარტნიორებზე (%-ულად მშპ-სთან)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 31: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



დიაგრამა 32: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



დიაგრამა 33: გაცვლითი კურსის მერყეობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გაცვლითი კურსი

COVID-19 პანდემიის საწყის ეტაპზე, მაღალი გაურკვევლობის პირობებში, მთელ მსოფლიოში აღინიშნებოდა დოლარის გამყარება. 2021 წლიდან კი დოლარმა შესუსტება დაიწყო, როგორც განვითარებადი, ისე - განვითარებული ქვეყნების ვალუტებთან. მსგავს ტრაექტორიას გაყვა ლარიც. 2021 წლის აპრილიდან, ლარმა სწრაფი გამყარება დაიწყო, რასაც ხელს უწყობდა როგორც დოლარის დაღმავალი ტენდენცია, ასევე სწრაფად მზარდი ექსპორტი და გაუმჯობესებული მოლოდინები. 2022 წლის დასაწყისიდან შეინიშნებოდა ლარის გამყარება, მაგრამ რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებული ომის შემდგომ, ლარი მკეთრად გაუფასურდა შემდგომ კი დასტაბილურება დაიწყო გამყარების მხრივ. ამ ყველაფერმა გაზარდა ლარის მერყეობა. ლარის გაზრდილი მერყეობა თანხვედრაშია საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების ქცევასთან. 2023 წლის პირველ კვარტალში ლარმა განაგრძო გამყარება, რასაც ხელი შეუწყო გაზრდილმა სავალუტო შემოსულობებმა, რისი ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული მიგრაციაა. 2023 წლის პირველ კვარტალში ლარი დოლართან მიმართებაში გამყარდა 17.4 პროცენტით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ევროსთან კი 19.1 პროცენტით. რაც შეეხება ლირას, ლარი 38.1 პროცენტით გამყარდა ამავე პერიოდში, ხოლო რუბლთან 10.1 პროცენტით გაუფასურდა. 2023 წლის პირველ კვარტალში ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი მკვეთრად გამყარდა და მათ საშუალოვადიან ტრენდს აღემატება შესაბამისი 31.9 და 21.4 პროცენტით.

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლით კურსების ცვლილება

	30 აპრილი, 2023	30 აპრ 2023 - 1 იან 2023	30 აპრ 2023 - 1 იან 2022
ევრო	2.7441	▲ 5.1%	▲ 27.5%
აშშ დოლარი	2.4967	▲ 8.2%	▲ 23.7%
თურქული ლირა	0.1283	▲ 12.5%	▲ 293.9%
რუსული რუბლი	0.0311	▲ 18.2%	▲ 23.4%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	180.61	▲ 9.8%	▲ 37.7%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (მარტი 2023)	149.58	▲ 3.0%	▲ 18.4%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფისკალური სექტორი

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

2023 წლის პირველ კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,554 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში კი მობილიზებულ იქნა 4,609 მლნ ლარი, რაც შეადგენს საპროგნოზო მაჩვენებლის 101.2 პროცენტს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1,542 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,364 მლნ ლარი) 113.0 პროცენტია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 671 მლნ ლარი, რაც ჩამორჩება საპროგნოზო მაჩვენებელს (695 მლნ ლარი) და მის 96.6 პროცენტს შეადგენს.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 1,957 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,825 მლნ ლარი) 107.2 პროცენტია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 434 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (333 მლნ ლარი) 130.4 პროცენტია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 32 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25 მლნ ლარი) 128.4 პროცენტია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 მლნ ლარი) 66.8 პროცენტია.

2023 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 12.4 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 10.6 პროცენტით. ამავე დროს, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 840.6 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა 98.4 მლნ ლარით.

დიაგრამა 34: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება



დიაგრამა 35: ნაერთი ბიუჯეტის სალდო



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 36: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი



დიაგრამა 37: ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საბიუჯეტო შემოსავლებში მნიშვნელოვან წილს იკავებს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, რაც 2023 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით შეადგენს 90.9 პროცენტს. ნაერთმა ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 4,609 მლნ ლარი, რაც 12.7 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული შემოსავალი წლიურად გაიზარდა 27.1 პროცენტით და გაუტოლდა 1,542 მლნ ლარს. კლება დაფიქსირდა მოგების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებში, რაც წლიურად შემცირდა 2.7 პროცენტით წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით და გაუტოლდა 671 მლნ ლარს, რაც შეადგენს საგადასახადო შემოსავლების 14.6 პროცენტს. ამავე დროს, გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში მნიშნელოვანი ზრდა შეინიშნება დამატებული ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადებში. კერძოდ, დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 21.5 პროცენტით და მოიცავს საგადასახადო შემოსავლების 42.5 პროცენტს. რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადიდან მიღებულ შემოსავალს, მისი წილი შეადგენს 33.4 პროცენტს, ხოლო ზრდის ტემპი გაუტოლდა 27.1 პროცენტს.

2023 წლის პირველ კვარტალში ხარჯები წლიურად გაიზარდა 10.6 პროცენტით და შეადგინა 4,229 მლნ ლარი. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ყველაზე დიდი წილი უკავია სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებს, რომელიც შეადგენს მთლიანი ხარჯების 39.0 პროცენტს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი გაიზარდა და ტოლია 4.8 პროცენტის. გაიზარდა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები, რომლის წლიური ზრდის ტემპი გაუტოლდა 18.4 პროცენტს და შეადგინა 627 მლნ ლარი, რაც არის მთლიანი ხარჯების 14.8 პროცენტი. რაც შეეხება ხარჯების დანარჩენ მუხლებს, სუბსიდიებს (მთლიანი ხარჯების 13.1 პროცენტი), საქონელსა და მომსახურებას (მთლიანი ხარჯების 13.0 პროცენტი), პროცენტს (მთლიანი ხარჯების 7.4 პროცენტი) და სხვა ხარჯებს (მთლიანი ხარჯების 12.6 პროცენტი), 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 31.5 პროცენტით, 7.8 პროცენტით, 72.3 პროცენტით და -11.9 პროცენტით მეტი იქნა მათზე მიმართული.

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2023 წლის 31 მარტის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 29,943 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 7,143.2 მლნ ლარს, მათ შორის:
  - ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის") – 80.8 მლნ ლარი;
  - სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის") – 182 მლნ ლარი;
  - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 420 მლნ ლარი;
  - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 6,423.8 მლნ ლარი;
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 22,800.2 მლნ ლარს.

დიაგრამა 38: საქართველოს სახელმწიფო ვალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მონეტარული სექტორი

კერძო სექტორის ლარიზაცია

სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია, 2023 წლის 1 იანვრის მდომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 55.4 პროცენტს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ლარიზაციის ძირითად დეტერმინანტს კვლავ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაცია წარმოადგენს., ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 69.9 პროცენტი, ხოლო იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე 37.5 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 2021 წლის განმავლობაში 88 პროცენტის ირგვლის დასტაბილურდა და 2023 წლის 1 იანვრის მგომარეობით 88.5 პროცენტი შეადგენა, რაც შეეხება იპოთეკური სესხების ლარიზაციას, ის ამავე პერიოდში 45.2 პროცენტს გაუტოლდა.

დეპოზიტების ლარიზაცია მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სესხების ლარიზაციას. მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 43.0 პროცენტი შეადგინა. დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვანად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია, რაც 2023 წლის 1 იანვრის 67.5 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 28.5 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების ლარიზაციაში ძირითად კონტრიბუტორს კვლავ ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია წარმოადგენს, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 50.7 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია 40.2 პროცენტს შეადგენს, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 37.0 პროცენტს გაუტოლდა.

დიაგრამა 39: სესხების ლარიზაცია





დიაგრამა 40: დეპოზიტების ლარიზაცია





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 41: სესხების წლიური ზრდა





დიაგრამა 42: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხების მიმოხილვა

2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 13.2 პროცენტით გაიზარდა, რაც 3.1 პროცენტული პუნქტით დაბალია წინა კვარტალში დაფიქსირებულ მნიშვნელობაზე (კურსის ეფექტის გამორიცხვით). აგრეთვე მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება იურიდიული პირების სესხების წლიურ ზრდაშიც, რამაც განაპირობა მისი მნიშვნელობის 10.6 პროცენტამდე ზრდა, ამავე პერიოდში ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 15.3 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია რომ ეროვნული ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდას ბოლო პერიოდში ზრდის მაღალ ტემპს ინარჩუნებს 2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 16.4 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდამ 9.5 პროცენტი შეადგინა, რაც 0.1 პროცენტული პუნქტით აღემატება გასული კვარტლის მნიშვნელობას (კურსის ეფექტის გამორიცხვით).

2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 13.3 პროცენტი შეადგინა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებში 22.0 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა და 1.0 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა კვარტლის მნიშვნელობას, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული იპოთეკური სესხების ზრდა 6.8 პროცენტს შეადგენს, რაც 4.1 პროცენტული პუნქტით მაღალია წინა კვარტალთან შედარებით.

დეპოზიტების მიმოხილვა

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2023 წლის 1 აპრილის, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 30.2 პროცენტს შეადგენს, რაც 0.3 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს როგორც უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების ზრდის ტემპის კლება. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 34.4 პროცენტი შეადგინა, ამავე პერიოდში კი უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 26.9 პროცენტი შეადგინა.

2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 33.4 პროცენტი შეადგინა, ასევე იურიდიული პირების დეპოზიტების წლიურმა ზრდამ იმავე პერიოდში 33.2 პროცენტს გაუტოლდა.

რაც შეეხება დეპოზიტების ზრდას ტიპების მიხედვით, ვადიან დეპოზიტებში წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 20.9 პროცენტი. რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშსა და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, მათ წლიურმა ზრდამ შესაბამისად შეადგინა 25.2 და 49.4 პროცენტი.

დიაგრამა 43: დეპოზიტების წლიური ზრდა







წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 44: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის პირველ კვარტალში ჩაატარა 2 სხდომა. ორივე შემთხვევაში რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად იქნა დატოვებული 11.0 პროცენტზე.

სებ-ს მიხედვით, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ გლობალურად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებები გამოიწვია და პანდემიისგან წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა. თუმცა ბოლო პერიოდში საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების დასტაბილურების ნიშნები იკვეთება. ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების შედეგად ნავთობპროდუქტების ფასებმა მოიკლო. ამავდროულად, საერთაშორისო ტრანსპორტირების ფასები სწრაფი ტემპით შემცირებას განაგრძობს, რაც იმპორტირებული პროდუქტების ფასებზეც უნდა აისახოს. საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი უკვე გაიარა და შემცირება და სამიზნე მაჩვენებლისაკენ მიახლოება დაიწყო. აპრილში ინფლაციამ 2.7 პროცენტი შეადგინა და მას შემცირების ტენდენცია აქვს. მოსალოდნელია, რომ გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, აღნიშნული გლობალური ტენდენციები ეტაპობრივად ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა, რამაც ინფლაციის კიდევ უფრო შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი.

2023 წლის პირველ კვარტალში ეროვნულმა ბანკს სავალუტო ინტერვენციები აუქციონის მეშვეობით არ განუხორციელებია.

დიაგრამა 45: სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები

2023 წლის 1 აპრილისათვის, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 11.1 პროცენტს უტოლდება.

2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 11.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 1.9 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.4 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 11.1 პროცენტს შეადგენს.

2023 წლის 1 აპრილის საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტი განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.8 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 18.7 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.8 პროცენტი). გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს.

იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2023 წლის 31 მარტს 14.3 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 8.9 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6.5 პროცენტი.

დიაგრამა 46: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



დიაგრამა 47: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული, როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.